სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

13981309552219

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N191262727

რეგისტრაციის თარიღი

16.10.2019 წ

ნოტარიუსი: მზია შვანგირაძე
მისამართი: ქ. თბილისი, ს. ცინცაძის ქუჩა #50/1ა
ტელეფონი: 2 30 52 28, 591515551

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათას ცხრამეტი წლის თექვსმეტი ოქტომბერი მე, საქართველოს ნოტარიუს **მზია შვანგირაძეს,** ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ს. ცინცაძის ქ. #50/1ა, მომმართა: **შ.პ.ს. ,, ესემო- ფარმინა"-ს დირექტორმა ნინო შავდიამ** (ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, ამონაწერის მომზადების თარიღი 16/06/2016 წ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: **B 18042872** , ს/კ **202346498,** რეგისტრირებული 20/07/2006წ. ქ. თბილისის საგ. ინსპექცია) და განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: **ნინო შავდიამ** (დაბ. 15.11.1989 წ, პ#**01030048260**, მცხ. ქ. თბილისი, მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩა, N 39) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც მოიწონა მან და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე სანოტარო აქტს:

მინდობილობა

,,მინდობილობის გამცემი: **შ.პ.ს. ,, ესემო- ფარმინა"-ს ს/კ 202346498, დირექტორი ნინო შავდია** (დაბ. 15.11.1989 წ, პ#**01030048260**, მცხ. ქ. თბილისი, მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩა, N 39) "მინდობილობის მიმღებს": **აპოლონ არდაშელიას** (დაბ. 16.07.1977წ. სოხუმში, პირადი #62001004754, მცხ. ქ. თბილისი, ნუცუბიძის IV მკრ, გიმნაზიის გ/ბაღი 183) **ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:**

საზოგადოების წესდებით დირექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, იყოს **შ.პ.ს. ,, ესემო- ფარმინა"-ს ს/კ 202346498,** დირექტორის წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციაში, იუსტიციის სახლში და მის სივრცეში განთავსებულ ნებისმიერ სამსახურში, მათ შორის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, მის დაქვემდებარებაში მყოფ განყოფილებებში, შსს მომსახურების სააგენტოში (საპატრულო პოლიცია) ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოში, გამგეობებში, ქ. თბილისის მერიაში, მის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებში, არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ქ. თბილისის ქონების მართვის სააგენტოში, **შ.პ.ს. ,, ესემო- ფარმინა"-ს ს/კ 202346498,** დირექტორის სახელით უფლებამოსილია მიმართოს განცხადება/განაცხადით, ჩააბაროს, გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი სახისა და შინაარსის დოკუმენტი, ნებართვები, დაამზადებინოს **უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის)** აზომვითი ნახაზები, მშენებლობის პროექტი, მოახდინოს პროექტის კორექტირება, მიიღოს მშენებლობის ნებართვა, მოახდინოს ფართის კორექტირება, განახორციელოს მშენებლობა პროექტის შესაბამისად, მოახდინოს გ.რ.გ.-ს კორექტირება/ცვლილება, (მოახდინოს უძრავი ქონების ლეგალიზაცია-დარეგისტრირება-დაკანონება, დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში,) გადაიხადოს გადასახადები და მოსაკრებლები. ხელი მოაწეროს **"მინდობილობის გამცემის"** მაგივრად და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესასრულებლად.

წარმოადგინოს **შ.პ.ს. ,, ესემო- ფარმინა"** ს/კ **202346498,** შ.პ.ს. ,,თბილისი ენერჯი''-სთან, ს.ს. ,,თელასი"-სთან, დასუფთავების სამსახურში, კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ"-თან, **შ.პ.ს. ,, ესემო- ფარმინა"-ს** ს/კ **202346498,** კუთვნილ ნებისმიერ უძრავ ქონებასთან, დაკავშირებით, შეაგროვოს ყველა საჭირო დოკუმენტი, შეიტანოს განცხადება/განაცხადი, ჩააბაროს და მიიღოს შესაბამისი სერვისი, ჩაატაროს სარემონტო სამუშაოები, შეიყვანოს დენი, ბუნებრივი აირი, წყალი, დაამონტაჟოს მრიცხველები, (გადაიტანოს) გადაიხადოს გადასახადები და მოსაკრებლები. ხელი მოაწეროს "მინდობილობის გამცემის" სახელით და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემული ორი წლის ვადით.

მინდობილობა შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება საქართველოს ნოტარიუსის მზია შვანგირაძის სანოტარო არქივში, ხოლო სამი გადაეცა ,,მინდობილობის გამცემს".

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური **10,00 (ათი) ლარი,** თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება #507) 31-ე მუხლისა. **2.00 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით)** ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად ამავე დადგ. (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგ.. #507) 39-ე მუხლისა. **სულ (12,00) თორმეტი ლარი.**

მინდობილობის გამცემი: **შ.პ.ს. ,, ესემო- ფარმინა"-ს**

ს/კ 202346498, *ნინო შავდია* ----------

ნოტარიუსი /მ. შვანგირაძე/